



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI



ბრძანება:ბ65.65220311

თარიღი:31/01/2022

**ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს
 პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13-ე მუხლის 1¹ პუნქტის, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 146¹-ე მუხლისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილებით დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა შემდეგი სახით:
 1. გიორგი ივანიაძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
 2. დავით ხარძეიშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
 3. გელა ჩიკვაიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; საბჭოს წევრი;
 4. ეთერი ჭიჭინაძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
 5. თამარ შენგელია - ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
 6. ლანა გოგოძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
 7. გიორგი ტყეშელაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

საბჭოს წევრი;

8. ნატო დვალი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს წევრი;
9. თეონა ადვიშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; საბჭოს წევრი;
10. სალომე ფახურიძე - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე კატეგორიის პირველი რანგის უფროსი სპეციალისტი - იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში; საბჭოს წევრი;
11. ბესიკი გველესიანი - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - აიტი სპეციალისტი; საბჭოს წევრი;
12. გოჩა ჭუბაბრია - ვანის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; საბჭოს წევრი;
13. მამუკა ნამიჭეიშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;
14. ივანე მამფორია - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;
15. მიხეილ სვანაძე - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;
16. ნათია ძოდუაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე გენდერულ საკითხებში; საბჭოს წევრი;
17. ნატული დვალიშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე; საბჭოს წევრი;
18. მარინა ღვინიაიძე - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი; საბჭოს წევრი;
19. ლელა ჩიკვაიძე - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; საბჭოს წევრი;
20. თამაზი თავაძე - ქალაქ ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; საბჭოს წევრი;
21. ნანა ლილუაშვილი - ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი; საბჭოს წევრი;
22. გვანცა სიგუა - ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი; საბჭოს წევრი;
23. გურანდა გვანცელაძე - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ - ს წარმომადგენელი; საბჭოს წევრი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 დეკემბრის N27 204 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. №1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

